„112"-ის ლენინგრადი...

№8

ვენინგრადი

2014

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, დავით ჭანტურია, შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

112-ის წარმომადგენლები EENA-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე 83.4-5

112-ს ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ესტუმრა 83.6

გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი 112-ში 83.7

112-ს ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ესტუმრა 83.8

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტინარკოტიკული კამპანია დაიწყო 83.9-10

112-ს სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ესტუმრნენ 83.11-12

112-ის წარმომადგენლები მოხუცთა და ინვალიდთა სახლს ესტუმრნენ 83.13

83.14 Samsung Galaxy S5-ის საგანგებო კონტაქტის ფუნქცია

83.15 სამხრეთ კორეა გლოვობს გმირ მოზარდს, რომელმაც დროული საგანგებო ზარი განახორციელა

83.16-18 ოპერატორის დღიური

83.19 სხვა კუთხით დანახული 112-ელები

83.20 მინი ფეხბურთი

83.21-22 ეს საინტერესოა

83.23-24 სასარგებლო რჩევები

83.25 ფოტოკონკურსი, მილოცვები

112-ის წარმომადგენლები EENA-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, პოლონეთში, 2014 წლის 2-4 აპრილს, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს 112 ერთ-ერთ სპიკერ ქვეყანას წარმოადგენდა.

ყოველწლიური კონფერენცია ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, დემეტრიოს პიროსმა, გახსნა.

„მნიშვნელოვანია, საქართველოს 112-ის მონაწილეობა საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ კონფერენციაში. წელს საქართველოს დელეგაციას წილად ხვდა უპირატესობა, წარდგეს კონფერენციის მონაწილე 44 ქვეყნის წინაშე, როგორც ერთ-ერთი სპიკერი ქვეყანა. ასევე, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის სტენდის გვერდით განთავსებულია საქართველოს 112-ის წარმომადგენლობითი სტენდი. სტენდი საშუალებას აძლევს კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას, გაეცნოს ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ პრომო მასალასა და სამუშაო პროგრამას (ERC), რომელშიც მუშაობენ 112-ის ოპერატორები“ - განაცხადა გახსნითი სიტყვით გამოსვლისას დემეტრიოს პიროსმა.

ყოველწლიურ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ პრეზენტაცია, სახელწოდებით - „ოპერატიული მართვის ცენტრის თანამედროვე დიზაინი“, წარმოადგინა. აღნიშნული პრეზენტაციით კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოში 112-ის მუშაობის სპეციფიკის, თანამედროვე ქოლ-ცენტრის მოწყობის, ეფექტური მუშაობისათვის საჭირო აღჭურვილობისა და სამუშაო პროგრამა - ERC-ის შესახებ.

კონფერენციის დასასრულს, დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც კონკრეტულ პირებსა და ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ერთიანი ევროპული ნომრის 112-ის მომსახურების გაუმჯობესებაში სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

კონფერენციაში მონაწილეობის მიზანია, მონაწილეებმა ერთმანეთს საკუთარი ქვეყნის პრაქტიკა და გამოცდილება გაუზიარონ სამუშაო პროცესის, სისტემური მოწყობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მნიშვნელოვანია, ყოველწლიურ კონფერენციაში ქართული მხარის ჩართულობა, რადგან მიღებული გამოცდილება 112-ს მოქალაქეებისათვის ეფექტური და ოპერატიული დახმარების აღმოჩენაში დაეხმარება.

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1999 წელს შეიქმნა ბრიუსელში. ასოციაციის მიზანია, ევროპის მასშტაბით გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის დანერგვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ეფექტური მუშაობისთვის ხელის შეწყობა. 2013 წლის 3 სექტემბრიდან საქართველოს 112 EENA-ს წევრია.

112-ს ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ესტუმრა

2014 წლის, 28 მარტს, ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრი, დაილის ალფონსას ბარაკაუსკასი, დელეგაციასთან ერთად, შსს-ს გადაუდებელი დამხარების ოპერატიული მართვის ცენტრს ესტუმრა.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს 112-ის შენობა და ადგილზე გაეცნენ ქოლ-ცენტრის მუშაობის სპეციფიკას. სტუმრები საკუთარი გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, დეტალურად გაეცნენ ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობასა და ფუნქცია-მოვალეობებს.

ვიზიტის დასასრულს, 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი 112-ში

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს, 2014 წლის 25 აპრილს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კრიმინალთან ბრძოლის ფედერალური სამსახურის (BKA) წარმომადგენლები და ორგანიზაციის პრეზიდენტი, ბ-ნი იორგ ცირკე, ესტუმრნენ.
ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა 112-ის შენობა დაათვალიერეს და ქოლ-ცენტრის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კრიმინალთან ბრძოლის ფედერალური სამსახურის (BKA) პრეზიდენტმა იორგ ცირკემ აღნიშნა, რომ საქართველოს 112 შთამბეჭდავი მოდელია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის ეფექტური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სამი სამსახურის - სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, საპატრულო პოლიციის და სახანძრო-სამაშველო სამსახურის კოორდინირებული მუშაობა, რაც საქართველოში წარმატებით ხორციელდება.

იორგ ცირკე

112-ს ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ეწვია

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ს, 2014 წლის 30 აპრილს, ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, რიჰარდ კახლოვსკი, ეს-ტუმრა. მინისტრმა ცენტრი დაათვალიერა და ადგილზე გაეცნო მუშაობის სპეციფიკას.

112-ის წარმომადგენლებმა დელეგაციის წევრებს პრეზენტაციის სახით გადაუდებე-ლი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, ორი წლის განმავლობაში, გან-ხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნეს, მათ შორის, 112-თან მოკლე ტექსტური შეტყობინებით დაკავშირების საშუალება შეზღუდული შესაძლებ-ლობის მქონე პირებისათვის.

სტუმრები 112-ში არსებული ინტეგრირებული მართვის მოდელით დაინტერესდნენ, სადაც საგანგებო სამსახურების კოორდინირებული მუშაობა ერთიანი ცენტრიდან ხორციელდება.

ვიზიტის დასასრულს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

რიჰარდ კახლოვსკი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტინარკოტიკული კამპანია დაიწყო

არა ბიონარკოტიკს

შინაგან საქმეთა სამინისტროში, 2014 წლის 24 მარტს, ე.წ. „ბიოს“ მოხმარების წინააღმდეგ მიმართული ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო კამპანიის და კამპანიის ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო რგოლების პრეზენტაცია გაიმართა.

კამპანიის მიზანია ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირება. კამპანიის ფარგლებში გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმები მოქალაქეებს მიაწოდებენ ინფორმაციას, თუ რა საფრთხეებს შეიცავს მათი ჯანმრთელობისთვის ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება. საინფორმაციო რგოლები ტელე და რადიო ეთერებში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელებში განთავსდება.

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ის მიერ ასევე მომზადებულია საინფორმაციო რგოლი, რომლის მეშვეობით საზოგადოება იმ პირველადი სიმპტომების შესახებ შეიტყობს, რაც ე.წ.

„ბიოს“ მოხმარებას ახასიათებს და აღნიშნული სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების გამოძახების აუცილებლობაზე მიიღებს ინფორმაციას.

ანტინარკოტიკული კამპანიის სლოგანია **„ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“.**

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი, ასევე, რგოლებში მონაწილე ექიმები - ნარკოლოგი, თათა ასათიანი, ფსიქოლოგი, მარინა კაჭარავა, სექსოლოგი, ანდრო კანდელაკი და ექსპერტ-ნარკოლოგები, გელა ლეჟავა და ზურაბ სიხარულიძე, ესწრებოდნენ.

112-ს სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ესტუმრნენ

2014 წლის, 27 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს, საგანმანათლებო ინიციატივების ქართული ასოციაციის ორგანიზებით სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ესტუმრნენ. გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, რუსთავის ოთხი და მარნეულის სამი საჯარო სკოლის, მეცხრე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს.

40-მდე უფროსკლასელი 112-ის ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობის პროცესს ადგილზე გაეცნო და მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე პასუხი მიიღეს.

სამოქალაქო კლუბის წევრებისთვის ცნობილი გახდა გამკაცრებული საკანონმდებლო ცვლილებები ცრუ და არამიზნობრივი ზარების განხორციელების დროს და აღნიშნული კანონდარღვევის შემთხვევაში დაწესებული ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციების შესახებაც მიიღეს ინფორმაცია.

მოზარდებმა ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკული კამპანიის შესახებ, სლოგანით „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება!“, მიიღეს ინფორმაცია. აღნიშნული კამპანიის მიზანი ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირებაა. 112-ის წარმომადგენლებისაგან მოზარდებისთვის დეტალურად იქნა ახსნილი სიმპტომები, რომლებიც ამ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას შეიძლება მოყვეს და აღინიშნა მსგავსი სიმპტომების გამოვლენისას 112-ზე დროულად დარეკვის აუცილებლობა.

112-ში ვიზიტი, სამოქალაქო კლუბის წევრებისთვის, საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის აინტერესებდათ ცენტრის ფუნქციონირების სპეციფიკა და ოპერატორების სამუშაო რეჟიმი.

ვიზიტის დასასრულს, სამოქალაქო კლუბის წევრ მოსწავლეებს 112-ისგან სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

„სიქა“ - საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციაა, რომელიც 1999 წლიდან მოქმედებს საქართველოსა და საქართველოს საზღვრებს გარეთ. ასოციაცია არაფორმალური განათლების გამოყენებით ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე ინოვაციური და აპრობირებული სწავლის ფორმების დანერგვას, რათა მოხდეს პიროვნების აქტიურ და განვითარებაზე ორიენტირებულ მოქალაქედ ჩამოყალიბება.

112-ის წარმომადგენლები მოხუცთა და ინვალიდთა სახლს ესტუმრნენ

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 112-ის წარმომადგენლები თბილისში არსებულ მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლს - „სიკეთის ლამპარი“ - ესტუმრნენ.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის თანამშრომლებმა მოხუცებს სხვადასხვა პროდუქტი და პირველადი დახმარების მედიკამენტები მიუტანეს.

„სიკეთის ლამპარში“ 25 მოხუცი ცხოვრობს, მათ შორის, უხუცესი კი ასი წლის თამარ გაბუნიაა.



Samsung Galaxy S5-ის საგანგებო კონტაქტის ფუნქცია

უახლეს მობილურ ტელეფონებში უამრავი ფუნქციაა, რომლებსაც მომხმარებელი ან იშვიათად ან საერთოდ არ იყენებს.

მათ შორის არის - Safety Assistance, რომლის გამოყენების სურვილი, მხოლოდ მაშინ გაგიჩნდებათ, თუ რაიმე პრობლემური სიტუაცია შეგექმნათ. Safety Assistance, წარმოადგენს თავისებურ განგაშის მექანიზმს, რომლის საშულებითაც შეგეძლებათ წინასწარ შეყვანილ ოთხ საკონტაქტო პირს შეატყობინოთ თქვენი გასაჭირის შესახებ.

მოცემულ სურათზე შეგიძლიათ იხილოთ თუ, როგორ მუშაობს ეს ფუნქცია. საჭიროების დროს, სწრაფად სამჯერ უნდა დააჭიროთ power/lock ღილაკს. ამ ქმედების შედეგად, ტელეფონი აგზავნის რიგ მესიჯებს თქვენი დაახლოებითი ადგილმდებარეობის შესახებ, წინა და უკანა კამერების მეშვეობით გადაღებულ ფოტოსურათებსა და მოკლე ხმოვან შეტყობინებას.

ტელეფონის ეს ახალი ფუნქცია, რა თქმა უნდა, სრულად ვერ ჩაანაცვლებს საგანგებო ნომრებს, რადგანაც შეტყობინებები ძირითადად ტექსტურია და უშეცდომოდ მუშაობა დამოკიდებულია ქსელის ხარისხზე და სხვა გარემოებებზე. მიუხედავად ამისა, ეს ფუნქცია საკმაოდ ხელსაყრელია გასაჭირში მყოფი მომხმარებლებისათვის.









სამხრეთ კორეა გლოვობს გმირ მოზარდს, რომელმაც დროული საგანგებო ზარი განახორციელა

უამრავი ადამიანი მივიდა, ანსანში (სამხრეთ კორეა), სამოქალაქო პანაშვიდზე რათა დამშიდობებოდნენ 17 წლის, შოი დუკ-ჰას, რომელმაც 2014 წლის 15 აპრილს პირველმა გამოაგზავნა განგაშის სიგნალი დაზიანებული ბორანიდან და ამით საგანგებო სამსახურებს მისცა ძვირფასი წუთები, რომ მათ გადაერჩინათ განსაცდელში მყოფი მგზავრები. მან ასევე, დაურეკა მშობლებს და დაემშვიდობა მათ. სამწუხაროდ, თავად შოის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

„ჩემი ვაჟი სუფთა იყო გულით. ის უცოდველი იყო. ალბად ამიტომაც დარეკა 911-ზე, რომ მგზავრები გადაერჩინა“ - განაცხადა მგლოვიარე დედამ.

ბორანზე იმყოფებოდა დაუტონის უმაღლესი სკოლის 325 სტუდენტი. სამწუხაროდ, მხოლოდ 78-ის გადარჩენა მოხერხდა. შოის დროულად, რომ არ დაერეკა მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

სამხრეთ კორეაში ის გმირად შერაცხეს, მაგრამ მისმა მამამ განაცხადა, რომ ის მათთვის ყოველთვის საყვარელი ვაჟი იქნება და არა გმირი.

ზარის კატეგორიები და შესაბამისი რეაგირება

სუზი ბრენტის წიგნში „NEE NAW: Real Life Dispatches From Ambulance Control“, შემდეგი საინტერესო თავი ზარის კატეგორიებსა და შესაბამის რეაგირებას დაეთმო.

ზარის მიმღებს, ზარის ინიციატორისგან დასახმარებლად მიღებული საჭირო ინ-ფორმაცია სპეციალურ პროგრამაში შეყავს, პროგრამა კი ავტომატურად, პასუხების საფუძველზე აძლევს ინფორმაციას, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება კონკრე-ტული შემთხვევა.

სულ სამი კატეგორიის ზარია, ყველა კატეგორია განსხვავდება ერთმანეთისგან.

პირველი კატეგორია - A - ე.წ. „წითელი ზარები" (Red Calls)

Red Calls - გულისხმობს სიცოცხლისთვის საშიშ შემთხვევებს, როცა სასწრაფოდ უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება, კანონით განსაზღვრულ დროში, 8 წუთში.

პირველ კატეგორიაში შედის: გულის შეტევა, ასთმური შეტევა, ალერგიული რეაქცია, მენინგიტის ნიშნები, თავის არეში დაზიანება და გონების დაკარგვა.

წესების თანახმად, ნებისმიერი შემთხვევა, სადაც პაციენტს აღენიშნება: გაძნელე-ბული სუნთქვა, წელის ტკივილი და გონების დაკარგვა, შეიძლება გახდეს Red Calls-ის ტიპი.

ამ კატეგორიაში ერთიანდება, ე.წ „ტრავმა ზარი“, რაც გულისხმობს საგზაო შემთხვე-ვებს, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმას. ამ შემთხვევებზე შესაძლებელია ვერტმფრენის გამოყენება.

მეორე კატეგორია - B - Amber Calls

მეორე კატეგორიაში შედის შემთხვევები, რომელიც სერიოზულია, მაგრამ არ არის სიცოცხლისთვის საშიში. მაგალითად: დიაბეტური კომა, ძვლების მოტეხილობა,

შეუჩერებელი სისხლდენა, სუიციდის მცდელობა და ა.შ.

ზარის მიმღები, სავარაუდო დიაგნოზიდან გამომდინარე გადაწყვეტს, მაქსიმუმ რა დროშია საჭირო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მისვლა. კანონით განსაზღვრული დრო B კატეგორიისთვის არის 19 წუთი.

მესამე კატეგორია - C - მწვანე ზარები - Green Calls

მესამე კატეგორიაში შედის ისეთი შემთხვევები, როცა შემოსული ზარი, არც სერიოზულია და არც სიცოცხლისთვის საშიში. მსგავსი შემთხვევების დროს, კანონით განსაზღვრული არ არის, თუ რამდენ წუთში უნდა გამოცხადდეს სასწრაფო-დახმარების ბრიგადა მისამართზე.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება არამიზნობრივი და ბოროტად გამოყენებული ზარები.

ასევე მესამე კატეგორიაში შედის: გაციება, ქაღალდისგან გაჭრილი თითები, დაჭიმული მუხლები და ა.შ. უმნიშვნელო შემთხვევები, როდესაც სასწრაფო-დახმარების გამოძახება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ზარის რამდენი კატეგორია არსებობს საქართველოს 112-ში და როგორ ხდება შესაბამისი რეაგირება, ამ თემასთან დაკავშირებით, ჩვენ 112-ის ცვლის უფროსს ქ-ნ ნინო ჯაფარაშვილს გავესაუბრეთ.

ქ-ნმა ნინომ აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის 999-ს მოდელი კატეგორიების გადანაწილებაში საქართველოს 112-ის მოდელის მსგავსია. საქართველოშიც სამი კატეგორიის ზარი არსებობს და პრიორიტეტების მიხედვით იყოფა.

მაღალ პრიორიტეტული, რაც გულისხმობს პირველ კატეგორიას, რომელშიც შედის სიცოცხლისთვის საშიში შემთხვევები: სისხლდენა, უგონო მდგომარეობა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და ა.შ.



საშუალო პრიორიტეტული ანუ მეორე კატეგორია, რომელშიც ერთიანდება სერიოზული, მაგრამ არა სიცოცხლისთვის საშიში და-

ავადებები, მაალითად: წნევა, ასთმური შეტევა, ალკოჰოლით ინტოქსიკაცია, გონების კარგვა და ა.შ.

დაბალ პრიორიტეტული ანუ მესამე კატეგორია, სადაც ერთიანდება შედარებით მსუბუქი შემთხვევები, მაგალითად ვირუსული ინფექციები, ნევროტულობა და ა.შ.

ამ შემთხვევების გარდა, გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრში შემოდის არამიზნობრივი ზარები, როცა გართობის მიზნით რეკავენ.

112-ზე არამიზნობრივად ზარის განხორციელებისათვის ფულადი ჯარიმა და ადმინისტრაციული პატიმრობა კანონით არის განსაზღვრული.





გიორგი რობიტაშვილი

33 წლის
საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის
უფროსის მოადგილე

112-ში მრავლად მუშაობენ ნიჭიერი ადამიანები. მათი ნიჭი, მხოლოდ სამსახურში მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. ამჟამად, სხვა ამპლუაში წარმოგიდგენთ, 112-ის ადმინისტრაციის თანამშრომელს. კერძოდ, საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის მოადგილეს, გიორგი რობიტაშვილს.

გიორგი, შესანიშნავი მომღერალია. მას 12-13 წლის ასაკში აღმოაჩნდა სიმღერის ნიჭი. 15-16 წლისამ დაიწყო სიმღერა ფოლკლორულ ანსამბლ, „მძლევარში“, სოლისტად. შემდგომ, ჩააბარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ ტექნიკურ ფაკულტეტზე - იურიდიულზე. სტუდენტობის პერიოდში მღეროდა უნივერსიტეტთან არსებულ კაპელაში. მალევე კაპელას გამოეყო რამდენიმე ბიჭი და დაარსეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული, „ვაჟთა ვოკალური ანსამბლი“. გიორგი, აქაც სოლისტი გახლდათ. სწორედ აქ დაასრულა გუნდურ ჯგუფში სიმღერა და ამჟამად, იგი შსს სსიპ 112-ის საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურს მთელი პასუხიმგებლობით ემსახურება.

მინი ფეხბურთი

2014 წლის 11 აპრილს, შსს 112-ის დეპარტამენტში გაიმართა სპორტული ღონისძიება ფეხბურთში. კერძოდ, საფინანსო და ლოჯისტიკის სამსახურმა, 4 ბურთიანი სხვაობით დაამარცხა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ ღირსეულმა გაიმარჯვა. ორივე გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გამორჩეული მოთამაშეები. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად კი, ლევან ჯაფარიძე, დაასახელეს. სამომავლოდ, მსგავსი სპორტული ღონისძიებები კვლავ იგეგმება.

ძველ რომში, პირველი სახანძრო ბრიგადა შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვის 115 წელს, მარკუს ლიციინიუს კრასუსის მიერ. მისი სამსახური შედგებოდა 500 კაციანი გუნდისაგან. მისი წევრები უმალ რეაგირებდნენ ნებისმიერი შენობის აალებაზე, მთელი ქალაქის მასშტაბით, მაგრამ ისინი უმალ არ აქრობდნენ ხანძარს. ისინი სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ მანამ სანამ, მათი ხელმძღვანელი უთანხმდებოდა შენობის მფლობელს ხანძრის ჩაქრობის საზღაურზე. თუ შეთანხმება არ ხერხდებოდა, მეხაძრეები არ აქრობდნენ ცეცხლს. ამ მეთოდის საშუალებით კრასუსი რომის უმდიდრესი ადამიანი გახდა.

გოშა - „ფუფუნებიდან ქუჩაში“

გოშა იყო მაკაკა, რომელიც იყიდა მდიდარმა ოჯახმა რუსეთში. როცა მაიმუნი გაიზარდა მისი კონტროლირება რთული გახდა და ოჯახმა ის სახლიდან გააგდო. ფუფუნებიდან გოშა ქუჩაში აღმოჩნდა, მაგრამ მას გაუმართლა, როგორც დისნეის მულტფილმის სიუჟეტში და შეხვდა კეთილ, უსახლკარო ოჯახს, რომლებმაც მიიღეს ის იმ მიტოვებულ სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, პოლიციამ მალე ჩაატარა ამ მიტოვებული სახლის ჩხრეკა. სახლში მყოფი ყველა პირი, მათ შორის, გოშაც დააპატიმრეს, ვინაიდან მაწანწალობა რუსეთში დანაშაულად ითვლება. პოლიციამ გადაწყვიტა გოშა ნოვოსიბირსკის ზოოპარკში გაეგზავნა, რადგან მისი დეპორტაცია ძალიან ძვირი დაჯდებოდა.

კონტრაბანდისტი კატა

ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ალაგოას ციხეში კატა დააპატიმრეს. კატას ციხის ტერიტორიაზე ხშირად ხედავდნენ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ ვიდრე, ერთმა პოლიციელმა არ შეამჩნია, რომ მას მუცელზე პაკეტი ჰქონდა მიბმული. პაკეტში აღმოჩნდა მობილური ტელეფონი და დამტენი, პატარა ხერხის პირი და სხვადასხვა საშუალებები გვირაბის გასათხრელად. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ კატა პატიმრებმა გაზარდეს. ხშირად მას გარეთ უშვებდნენ, ოჯახის წევრები კი, ცხოველს მუცელზე სხვადასხვა ნივთებს ამაგრებდნენ. კატა ინსტიქტურად ბრუნდებოდა ციხეში. კატა დააპატიმრეს და ალაგოას 263 პატიმარი ეჭვმიტანილი იქნა ამ დანაშაულში.

სტრესთან ბრძოლის 5 საშუალება

დღესდღეობით თითქმის ყველა სამსახურს სტრესი ახლავს თან, სახლში დაბრუნებულებს გვჭირდება ისეთი რამ, რაც ამ სტრესისა და დაძაბულობისაგან გაგვათავისუფლებს.

თავის კანის მასაჟი

გარდა იმისა, რომ თავის კანის მასაჟი სასიამოვნო პროცედურაა, ის თმის ხარისხსაც აუმჯობესებს. ამ პროცედურის განმეორება თმის შამპუნით დაბანისას შეიძლება. მასაჟი უნდა გაიკეთოთ შუბლიდან კეფისკენ.

ლავანდის დეკორაცია

მცენარე ლავანდას დამამშვიდებელი სურნელი აქვს. ის არეგულირებს გულისცემასა და წნევას, რაც მოდუნებასა და ძილში ეხმარება ადამიანს. შეგვიძლია გამხმარი ლავანდა მოვათავსოთ ლარნაკში და საწოლის გვერდით დავდგათ.

მარწყვი შოკოლადით

სტრესის დროს ტკბილი საკვების მიმართ მოთხოვნილება საგრძნობლად ძლიერდება. გირჩევთ, შავ შოკოლადში ამოვლებული მარწყვი მიირთვათ. მარწყვში შემავალი C ვიტამინი ებრძვის თავისუფალ რადიკალებს, რომლებსაც შეუძლიათ ორგანიზმის დაზიანება. შავი შოკოლადის მიღება კი სტრესის ჰორმონის-კორტიზოლის გამოყოფას ამცირებს.

ცხელი აბაზანა

ცხელი აბაზანაც არაჩვეულებრივი საშუალებაა სტრესისგან გათავისუფლებისათვის, კარგია თუ ეთერზეთებსაც დავამატებთ.

გვირილის ჩაი

გვირილის ჩაი ტვინის რეცეპტორებზე მოქმედებს. ამ უწყინარი მცენარის ნაყენი მსუბუქი ტრანკვილიზატორია, რაც შფოთვის შემოტევებისგან დაგიცავთ.



ქრისტინე ბაბუნაშვილი
შსს სსიპ 112-ის
იურისტის ფუნქცია-
მოვალეობების
შემსრულებელი



გილოცავთ...

დაქორწინებას ვუსურვებთ
ეკატერინე დაღუნდარიძეს

შვილის შეძენას ვუსურვებთ
ნათია უზუნაშვილს, ნონა ჩიტორელიძეს, ანა
კანდინაშვილს და ხათუნა უშანგიშვილს

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE